



NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა დიპლომირებული
მედიკოსი (ინგლისურენოვანი) შპს ავიცენა ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 25-26 ოქტომბერი ანგარიშის

წარდგენის თარიღი: 2023 წლის 6 დეკემბერი

თბილისი

შინაარსი

- I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ
- II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა 5
- III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 7
 - 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან 7
 - 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 16
 - 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 21
 - 4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა 23
 - 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი 31

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება მისი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს ავიცენა ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	445655700
დაწესებულების ტიპი	სასწავლო უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ ქვეყანა)	აზიმ მირზაზადევი- თეირანის სამედიცინო მეცნიერებათა უნივერსიტეტი, თეირანი, ირანი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ირინე ფხაკაძე -სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამარ გოდერიძე - შპს საქართველოს უნივერსიტეტი საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ირაკლი გაგუა - შპს გაგუას კლინიკა, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლუკა აბაშიშვილი – სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	დიპლომირებული მედიკოსი
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Medical Doctor
უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების II საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	დიპლომირებული მედიკოსი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მედიცინა - 0912
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	360
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია)	ახალი
შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

I. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

განხილული პროგრამა არის დიპლომირებული მედიკოსის ახალი ერთსაფეხურიანი პროგრამა ინგლისურ ენაზე. პროგრამა ისწავლება 12 სემესტრის განმავლობაში და მოიცავს 360 კრედიტს.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

1. ადგილზე ვიზიტი ორგანიზებული იყო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის მიერ ავიცენა-ბათუმის უნივერსიტეტის კამპუსში.
2. შეხვედრები მოეწყო სტანდარტების სფეროების მიხედვით. ასევე გვექონდა შეხვედრა მოწვეულ და ავლირებულ პროფესორებთან. პირველ შეხვედრაზე, რომელიც ეხებოდა პირველი სტანდარტის სფეროს, შეხვედრით უნივერსიტეტის რექტორს, პროგრამის ხელმძღვანელს, საერთაშორისო ურთიერთობებისა და სტრატეგიული დაგეგმვის განყოფილების ხელმძღვანელს, RCHL-ის ხელმძღვანელს, დეკანის მოადგილეს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის აჭარის ფილიალის ხელმძღვანელს და კლინიკა 'ჯანმრთელობის' ხელმძღვანელს (25 ოქტომბერი 2023წ). ვიზიტის პირველ დღეს, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა საკლასო ოთახები, პრაქტიკული ლაბორატორიები, კლინიკური უნარებისა და სიმულაციის ცენტრი, ასევე ბიბლიოთეკა.
3. დაწესებულებაში ვიზიტს პირადად ესწრებოდა ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრი უცხოელი ექსპერტის ჩათვლით. რამდენადაც პროგრამა ახალია, მას არ ჰყავს მედიცინის სტუდენტები და კურსდამთავრებულები.
4. ვიზიტის მეორე დღეს (2023 წლის 26 ოქტომბერი) გვექონდა ვიზიტი ორ კლინიკაში (მათ შორის მრავალპროფილურ კლინიკასა და უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრში, რომლის ნაწილიც უნივერსიტეტის კამპუსია) და გვექონდა შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, მეხუთე სტანდარტთან დაკავშირებით. დაბოლოს, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა რექტორს, პრორექტორსა და პროგრამის ხელმძღვანელს და გააცნო მათ წინასწარი მიგნებების მოკლე შინაარსი.

• საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტი 1	1.1: შესაბამისობა შია	1.2: შესაბამისობა შია	1.3: შესაბამისობა შია	1.4: შესაბამისობა შია	1.5: მეტწილად შესაბამისობა შია
სტანდარტი 2	2.1: შესაბამისობა შია	2.2: შესაბამისობა შია	2.3: ნაწილობრივ შესაბამისობა შია	2.4: მეტწილად შესაბამისობა შია	
სტანდარტი 3	3.1: შესაბამისობა შია				
სტანდარტი 4	4.1: შესაბამისობა შია	4.2: -	4.3: შესაბამისობა შია	4.4: მეტწილად შესაბამისობა შია	4.5: შესაბამისობა შია
სტანდარტი 5	5.1: შესაბამისობა შია	5.2: შესაბამისობა შია	5.3: შესაბამისობა შია		

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

▪ რეკომენდაციები

- რეკომენდებულია ზოგიერთი სილაბუსების გადახედვა, რათა დაზუსტდეს შინაარსი და სწავლის შედეგები, პროგრამის სტრუქტურაში მათი ადგილმდებარეობის (სემესტრის) მიხედვით („სტუდენტებიდან ექიმამდე – პროფესიონალიზმი ა“).
- არსებითად გადაიხედოს სილაბუსების უმრავლესობა, რათა სწავლებისა და სწავლის მეთოდები მოერგოს მითითებულ სწავლის შედეგებს.
- გამოსწორდეს შეცდომები ან ბუნდოვანება სწავლებისა და სწავლის მეთოდების განმარტებებში.
- სტუდენტის შეფასების სისტემის განმავითარებელი ასპექტების შემუშავება, განსაკუთრებით სტუდენტის პროგრესის შესახებ უკუკავშირის მიწოდება მანამდე, სანამ საბოლოო გადაწყვეტილება მის მიერ სასწავლო კურსის დამთავრების თაობაზე არ იქნება მიღებული.
- პროგრამის გეგმის ცვლილება, რათა განისაზღვროს ინტეგრირებულ კურსებზე სხვადასხვა საგნებისთვის ჩაბარების მინიმალური ზღვარი ან განიმარტოს პროგრამაში მისი პრაქტიკული განხორციელება.
- მიუხედავად იმისა, რომ პროგრამასა და სილაბუსებში არის ნახსენები სტუდენტების შეფასების რამდენიმე თანამედროვე მეთოდი, ეს არ განაპირობებს უნივერსიტეტის პროფესორის მიერ მათ მკაფიო გაგებას. ამაზე დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს რეაგირება, პროფესორის შესაძლებლობათა გაძლიერებაზე ორიენტირებული მეტი ინიციატივით.
- ზოგიერთ აუდიტორიაში მოსაგვარებელია კონდიციონერების პრობლემა.
- ყოველწლიურად მისაღები სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით (180 სტუდენტი ყოველწლიურად), აუდიტორიების, ოთახების და აღჭურვილობის რაოდენობა არაადეკვატური ჩანს და უნდა დაზუსტდეს, თუკი უნივერსიტეტი დაჟინებით მოითხოვს ასეთი დიდი რაოდენობის სტუდენტების მიღებას ყოველწლიურად.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სტუდენტების მიღებისას, შეამოწმეთ მედიცინასთან დაკავშირებული საგნების საბაზისო ცოდნა (ბიოლოგია და/ან ქიმია);
- I ფაზის მოდულების ინტეგრაციის დონის კორექტირება ტრანსდისციპლინურიდან ინტეგრაციის უფრო რეალურ დონემდე (მულტიდისციპლინარულამდე).
- რამდენადაც სტუდენტების რაოდენობა კვლავ იზრდება, უნივერსიტეტმა რეგულარულად უნდა გადაამოწმოს, ჰყავს თუ არა საკმარისი პერსონალი (სასწავლო და ადმინისტრაციული), რათა შენარჩუნდეს სტუდენტებისთვის მისაცემი განათლების ხარისხი.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵

- ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე
- • ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

II. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და დაწესებულების სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1. პროგრამის მიზნები პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და პროგრამის მიზნები ასევე, ასახავენ რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ავიციენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის მისიაა გლობალური და რეგიონული საკაცობრიო გამოწვევების პასუხად, შექმნას ცოდნისა და სამეცნიერო მიღწევების გამავრცელებელი, დინამიკურად განვითარებადი, განათლების საერთაშორისო სტანდარტებსა და კვლევაზე ორიენტირებული თავისუფალი ინტერკულტურული სივრცე და ხელი შეუწყოს მაღალი კომპეტენციის, კონკურენტუნარიანი, ცვლად გარემოში ადაპტირებადი, საზოგადოების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე მზრუნველი დამოუკიდებელი პროფესიონალის ჩამოყალიბებას.

ავიციენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის მიზანია მოამზადოს დინამიკურად განვითარებადი, კვლევასა და ინოვაციაზე ორიენტირებული, საზოგადოების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე მზრუნველი, გლობალურ გამოწვევებზე მოპასუხე დამოუკიდებელი კონკურენტუნარიანი პროფესიონალის მომზადება.

პროგრამის 5 ქვემიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ხედვას:

- ბიოსამედიცინო და კლინიკური მეცნიერების თეორიული ცოდნით აღჭურვილი, ტრანსლაციური და მტკიცებითი მედიცინის პრაქტიკული მნიშვნელობის, ბიოინფორმატიკის როლის გაცნობიერების მქონე პროფესიონალის მომზადება;
- ექიმის კვალიფიკაციის მქონე ისეთი კადრის მომზადება, რომელსაც შეეძლება ჯანმრთელობის ძირითადი პრობლემების დიაგნოსტიკა და მართვა ინდივიდის და სოციუმის საჭიროების გათვალისწინებით ჯანდაცვის სისტემის პირველად, მეორეულ და მესამე დონეზე, სტანდარტული კლინიკური პროცედურების ჩატარება, საბაზისო ფარმაკოლოგიის და რაციონალური ფარმაცოთერაპიის წარმოება, პაციენტისთვის ჩვეულ და ფორს-მაჟორულ გარემოში კონსულტაციის და დახმარების გაწევა, სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარების, მძიმე პაციენტის ამოცნობა და მართვა;
- თანამედროვე ინტერკულტურული აზროვნების, დინამიურად ცვლად გარემოში ადაპტირებადი, გლობალური აზროვნების, საზოგადოებისადმი მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ექიმის მომზადება;
- ჰუმანური, მაღალი ეთიკური ღირებულებების მატარებელი ექიმის აღზრდა, რომელიც შეძლებს საზოგადოების ჯანმრთელობის, დღევანდელი და კეთილდღეობის ერთობლივი

საჭიროების გაცნობიერებას და ხელშეწყობას, ჯანდაცვის სისტემის განვითარებაში წვლილის შეტანას;

- სტუდენტისთვის ინტერპერსონალური და სამედიცინო კონტექსტში ეფექტური კომუნიკაციის შესაძლებლობის, ფსიქო-სოციალური მეცნიერების ბაზისის მცოდნე, თვითმომართული სწავლებისა და განვითარების შესაძლებლობის უნარის გამომუშავება.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ზემოაღნიშნული მიზნების განხორციელება მიიღწევა პროგრამის მაქსიმალური ინტეგრაციითა და ინტერნაციონალიზაციით, რაც, უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემატური მხარდაჭერის გარდა, მოითხოვს ინტელექტუალური, მატერიალური და ტექნიკური რესურსების გაუმჯობესებისკენ სწრაფვას საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მაღალი ხარისხის დასავლური სამედიცინო სფეროს და ეფექტური სამედიცინო განათლების სისტემის მოდელისა და გამოცდილების გაზიარებას და დანერგვას. პროგრამის მიზნები და შედეგები გააზრებული ჰქონდათ პროგრამის ხელმძღვანელს, ყველა დაწესებულების პარტნიორთა გენერალურ საბჭოს და მედცენტრის აკადემიურ სათათბირო საბჭოს ჯერ კიდევ უნივერსიტეტის დაარსებამდე; დაიხვეწა და განვითარდა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები, ისევე როგორც თავად პროგრამა.

მიღებული უკუკავშირების, რესურსების ხელმისაწვდომობისა და უმაღლესი განათლების მედიცინის შესწორებული დარგობრივი მახასიათებლების საფუძველზე. პროგრამის მიზნების ჩამოყალიბების პროცესს წინ უძღოდა შრომის ბაზრის კვლევა, დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა და მსგავსი პროგრამის სტუდენტების გამოკითხვა, პროფესორ-მასწავლებელთა მოსაზრებების ანალიზი და ა.შ. პროგრამის მიზნები არის ნათელი, რეალისტური და მიღწევადი, ისინი ასახავს წვლილს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში, არის საჯარო და ხელმისაწვდომი დაწესებულების ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (ინგლისური) (<https://avicenna.ge/ge/about/legal-reference/university-regulations>).
- o ავიცენას თვითშეფასების ანგარიში
- o ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- o რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- o არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის

განვითარებისთვის

- o შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:

➤ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლის შედეგები ეფუძნება დარგობრივ მახასიათებლებს; შეესაბამება განათლების შესაბამის დონეს კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩოს (NQF) მიხედვით და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; თვითშეფასების ანგარიშისა და ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დგინდება, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია პროგრამის ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, აკონკრეტებს სასწავლო სფეროს და შეესაბამება პროგრამის მიზნებს, არის გაზომვადი, რეალისტური და მიღწევადი.

„დიპლომირებული მედიკოსის“ საგანმანათლებლო პროგრამა კურსდამთავრებულთათვის განსაზღვრავს შემდეგ კომპეტენციებს:

დარგობრივი კომპეტენციები, მიღწევის გზები და შეფასების მეთოდები:

ცოდნა და გააზრება

კურსდამთავრებულმა იცის:

- ადამიანის ნორმალური აგებულება, ფუნქცია და განვითარება, მოლეკულური ერთეულიდან მთელი ორგანიზმის ჩათვლით;

- ნორმისა და დაავადების მოლეკულური და უჯრედული საფუძველები, დამემკვიდრების კანონზომიერებები, ნორმასა და დაავადებას შორის სხვაობა, ფიზიოლოგიური მექანიზმების

ინტეგრირება და რეგულაცია;

- ორგანოთა სისტემების დაზიანების, ფუნქციური დეფიციტისა და დაავადებების გამომწვევი მიზეზები, კლინიკური, ჰისტოპათოლოგიური, ლაბორატორიული და რადიოლოგიური მანიფესტაცია და დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პრევენციისათვის საჭირო ინტერვენციის სპეციფიკური მეთოდები;
- პოპულაციაზე გავლენის მქონე დაავადებების ეპიდემიოლოგია, ადრეული გამოვლინების და პრევენციის მეთოდები.
- ინციდენტობის და პრევალენტობის შესამცირებლად გასატარებელი ღონისძიებები;
- პაციენტის ჯანმრთელობაზე მოქმედი ფაქტორები (ფსიქო-სოციალური, სოციალურ-ეკონომიკური, გარემო, ცხოვრების წესი და ციკლი), დაავადება და ინვალიდობა.

უნარები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- პაციენტის კონსულტირება - ანამნეზის შეკრება, ფიზიკური გამოკვლევის ჩატარება; კლინიკური აზროვნება და გადაწყვეტილების მიღება, განმარტებების და რჩევების მიცემა; პაციენტის მხარდაჭერა და მისი უფლებების დაცვა; პაციენტის ფსიქოემოციური

მდგომარეობის სტატუსის შეფასება;

- კლინიკური ნიშნების ერთობლიობით რელევანტური სადიაგნოსტიკო და სამკურნალო ინტერვენციის დაგეგმვა და შესრულება, დიფერენცირებული დიაგნოზირების ჩატარება, დაავადების მენეჯმენტი სხვადასხვა ეტაპზე და განსხვავებულ გარემოში, მწვავე და ქრონიკული მდგომარეობის მართვა, ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტზე და მის ოჯახზე ზრუნვა;
- გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის, ტრავმების ამოცნობა და შეფასება, მკურნალობა - გაიდლაინების შესაბამისად, ასაკობრივი და გენდერული ფაქტორების გათვალისწინებით პერსონალიზებული მედიცინის პრინციპებით;
- კლინიკური მდგომარეობის შესაბამისი მედიკამენტების გამოწერა - რაციონალური და უსაფრთხო ფარმაკოთერაპიის, ფარმაკოკონიმიკის უსაფრთხოების პრინციპების გათვალისწინებით;
- ბაზისური პრაქტიკული პროცედურების ჩატარება - ჩვენების განსაზღვრის, სწორი, უსაფრთხო ინტერვენციის დაგეგმვის, ჩატარებისა და შედეგების ინტერპრეტაციის ჩათვლით;
- სამედიცინო კონტექსტში ეფექტური წერილობითი და ვერბალური კომუნიკაცია - პაციენტთან, პაციენტის ახლობლებთან, კოლეგებთან, სამართალდამცავ პირებთან და მასმედიასთან, განურჩევლად სოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა;
- სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება;
- პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება;
- მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენება;
- სამედიცინო კონტექსტში ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება, სამართლებრივი რეგულაციების დაცვით დოკუმენტაციის წარმოება;
- სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება;
- ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართვა, ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობა.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

სტუდენტს შეუძლია:

- კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვა და ადაპტირება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით, პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა. სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება; საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა;
- სამეცნიერო კვლევის როლის, ბიოსტატისტიკის ჩათვლით მტკიცებულებაზე დაფუძნებული მედიცინის პრინციპების გაცნობიერება;
- პაციენტზე უწყვეტი ზრუნვის, ასევე, სამართლებრივი და ეთიკური პრინციპების მუდმივი დაცვის საჭიროებისა და მნიშვნელობის გაცნობიერება;
- პროფესიონალიზმის უმაღლესი სტანდარტების დაცვით მოქმედება, როგორც დარგის შიგნით, ასევე არასამედიცინო, მათ შორის მულტიკულტურულ, ინტერნაციონალურ გარემოში, როგორც საზოგადოების მიუკერძოებელი, კრეატიული, პატიოსანი, ეთიკური, თვითკრიტიკული, დამოუკიდებელი, ემპათიური, პაციენტისადმი, კოლეგებისადმი და მომავალი თაობისადმი კეთილგანწყობილი პირი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა (<https://avicenna.ge/ge/about/legal-reference/university-regulations>).

- o ავიცენას თვითშეფასების ანგარიში

- o ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- o რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- o არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის

განვითარებისთვის

- o შეფასება

➤ გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია უმაღლესი განათლების საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად. წინამდებარე პროგრამას არ ჰყავს აქტიური სტუდენტი და მისი შედეგები მოცემულ ეტაპზე ფასდება დეტერმინისტული შეფასების პრინციპით.

პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ჩარჩოსთან. სასწავლო გეგმა სრულად ინტეგრირებულია, მოიცავს როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ ინტეგრაციას.

სასწავლო გეგმის რუკა გვიჩვენებს, რომ პროგრამის დასრულების შემდეგ ექიმს განუვითარდება შემდეგი სფეროს კომპეტენციები: დარგობრივი ცოდნა, პაციენტების კონსულტაცია, ანამნეზის შეკრება, ფიზიკური გამოკვლევის ჩატარება და კვლევების შეკვეთა, დიფერენციალური დიაგნოსტიკის გაკეთება, პირველადი დახმარების გაწევა გადაუდებელ სამედიცინო სიტუაციებში (პირველი სამედიცინო დახმარება და რეანიმაციული ღონისძიებები), წამლის დანიშნვა, ეფექტური კომუნიკაცია სამედიცინო კონტექსტში, ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება სამედიცინო პრაქტიკაში, ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება პაციენტებთან დაკავშირებით.

როგორ მიიღწევა კონკრეტული პროგრამის ან კომპონენტის სწავლის შედეგები, ეს გაანალიზებულია სწავლის შედეგების რუკით. რუკა ასახავს I-PM სწავლის შედეგების ხარისხის პროგრესირებას (1 -

შესავალი; 2 - ცოდნის გადრმავება/პრაქტიკა; 3 - ათვისება).

დაწესებულება იყენებს კონტროლის რამდენიმე მიღებულ მეთოდს პროგრამის მონიტორინგისა და სტუდენტების აკადემიური მოსწრების შესაფასებლად.

იმის გამო, რომ სტუდენტები არ იყვნენ ჩარიცხულნი მედიცინის ფაკულტეტზე, სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება და აკადემიური მოსწრების ანალიზი ჯერ არ ჩატარებულა.

აკადემიურ პერსონალთან დისკუსიის დროს ცხადი გახდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს სრულად ესმოდა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მნიშვნელობა, მისი ვერტიკალური და ჰორიზონტალური განლაგება და მისი კავშირი შეფასებებთან, რაც აშკარა გახდა პერსონალთან შეხვედრის პროცესში. კლინიკურ განყოფილებებში ყველა თანამშრომელს აქვს ინგლისური ენის კომპეტენცია. მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან შეხვედრებმა და გასაუბრებებმა ცხადყო, რომ ამ პროგრამაში მათი პრაქტიკული/თეორიული განხორციელების ფუნქცია ნათელია. ამის მიხედვით, შეგვიძლია გავაკეთოთ პროგნოზი, რომ მათ შეუძლიათ სათანადოდ დაეხმარონ სტუდენტებს კლინიკური კურსების სწავლის შედეგების მისაღწევად.

უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი გეგმავს სტუდენტების რეგულარულ გამოკითხვას. გამოკითხვა ძირითადად მოდულის დასრულების შემდეგ ჩატარდება. გამოკითხვა ჩატარდება ელექტრონულად, წინასწარ შედგენილი კითხვარების დახმარებით. სტუდენტებს საშუალება ექნებათ შეაფასონ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, კურსები, მოდულები და საკითხები, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესის შეფასებას. გამოკითხვები ჩატარდება ანონიმურად.

კითხვარების დამუშავების შემდეგ მოხდება შედეგების ანალიზი და ეს შედეგები გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და სილაბუსის განახლებისთვის (საჭიროების შემთხვევაში) მიღებული მონაცემების საფუძველზე.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი გააანალიზებს სწავლების მეთოდებს, მიდგომებს, კურსის შინაარსსა და შეფასების სისტემას, რომელიც ხელს უწყობს ანალიზსა და გაზომვას.

სილაბუსები ადეკვატურად აღწერს შეფასების მეთოდებს, კომპონენტებს, ქულებს და სწავლის შედეგების კრიტერიუმებს (LOs). პროგრამას ახლავს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, რომელშიც ნაჩვენებია, თუ რომელი კურსები/კომპონენტები ისწავლება და ფასდება. მაგრამ, ზოგიერთ კურსში, მაგალითად, კომუნიკაცია-კოლაბორაციაში სასურველი იქნებოდა სწავლის შედეგების შეფასება კურსის დასაწყისიდანვე. ასევე არ არის საკმარისად განხილული, თუ რატომ არის აუცილებელი საბაზისო საგნებთან ერთად სტუდენტებისთვის ქირურგიული კურსის შეთავაზება.

სქემა ითვალისწინებს პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მრავალმხრივ და ეფექტურ მეთოდებს - ზეპირი გამოცდა, წერილობითი ტესტი/ ქვიზი, პრაქტიკული უნარების დემონსტრირება (სიმულატორებზე/მანეკენებზე, პაციენტებზე ან სტანდარტიზებულ პაციენტებზე), ობიექტური სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდები (OSCE). Mini-OSCE (სადაც სადგურების რაოდენობა შეიძლება იყოს 12 და საბოლოო გამოცდაში 12 --14), ობიექტური სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა (OSPE) ლაბორატორიული და/ან ინსტრუმენტული გამოკვლევებისთვის პრეკლინიკურ მეცნიერებებში, როგორცაა ფიზიოლოგია, ბიოქიმია და პათოლოგია. WPBA (სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასება) განკუთვნილია კლინიკურ სწავლებაში გამოსაყენებლად, პროცედურული უნარების პირდაპირი დაკვირვებით (DOPS), შემთხვევაზე დაფუძნებული დისკუსიით (CBD), მინი კლინიკური შეფასების სავარჯიშოებით (მინი-CEX)

შეფასების ეს სისტემა გამჭვირვალეა და ითვალისწინებს დარგის თავისებურებებს. ადგილზე ვიზიტებისა და ინტერვიუების დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი ინფორმირებულია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებზე. გასაუბრებაზე დადასტურდა, რომ უნივერსიტეტი მზადაა, კლინიკური ფაზის დაწყებამდე შეიტანოს ყველა საჭირო კორექტირება პროგრამის სწავლის შედეგებში.

მოკლედ რომ ითქვას, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბევრი მოქმედი მაჩვენებელია გათვალისწინებული და განახლებული საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება განხორციელდეს ამჟამად მიღებული პრინციპების მიხედვით. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უზრუნველყოფილი უნდა იყოს მჭიდრო მონიტორინგის კავშირი საგანმანათლებლო პროგრამის პრეკლინიკურ და კლინიკურ ნაწილებს შორის, რათა შემოწმდეს კლინიკური მომზადებისა და პრაქტიკის ხარისხი მე-3 წლის შემდეგ - უწყვეტი სწავლის პროცესის გასამარტივებლად და ჰარმონიის უზრუნველსაყოფად.

პროგრამის დამთავრების მაჩვენებელი გამოიყენება პროგრამის შედეგების შეფასების საჩვენებლად. ასევე, პროგრამით დაგეგმილი შედეგების მიღწევის ინდიკატორად განიხილება სტუდენტების მომავალი დასაქმება. ამ მხრივ სრულად არის გათვალისწინებული სამედიცინო ბაზრისა და დამსაქმებლების მოთხოვნები.

პროგრამის შემუშავებისთვის გამოყენებული იქნება სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი და მიღებული შედეგების შედარება სამიზნე ნიშნულებთან. საჭიროების შემთხვევაში შეიცვლება პროგრამის მიზნები/შინაარსი/სწავლის შედეგები/შეფასების სისტემა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o თვითშეფასების ანგარიში
- o საგანმანათლებლო პროგრამა
- o სილაბუსები
- o უნივერსიტეტის ვებგვერდი
- o ინტერვიუები პერსონალთან და სტუდენტებთან
- o გარე აუდიტის დასკვნა (შემფასებელი – ექსპერტი, ქრისტოფერ სტივენსი)
- o პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა

რეკომენდაციები:

- o რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- o არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის

განვითარებისთვის

- o შეფასება
- o გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი იმგვარადაა შემუშავებული, რომ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ავიცენა-ბათუმის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია უმაღლესი განათლების საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად.

პროგრამა მიმართულია უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სწავლების შედეგების გამომუშავებაზე; ითვალისწინებს საბაზისო საბუნებისმეტყველო, ქცევითი და სოციალური, კლინიკური მეცნიერებების, წამლებისა და მათი დანიშვნის პრინციპების ცოდნას, ასევე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემისა და ამ სისტემაში ექიმის როლის, ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გაცნობიერებას.

პროგრამა ინტეგრირებულია, როგორც ჰორიზონტალური, ასევე ვერტიკალური ინტეგრირების პრინციპით. მართალია თვითშეფასების ანგარიშში და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში აღნიშნულია, რომ მოდულები ტრანსდისციპლინური ინტეგრაციის დონეზეა, მაგრამ პროგრამისა და სილაბუსების მიმოხილვით აშკარაა, რომ მოდულები მაქსიმალურადაა ინტეგრირებული მულტიდისციპლინური ინტეგრაციის დონეზე.

პროგრამა ორიენტირებულია კლინიკური კომპეტენციების, ბაზისური უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე; სამედიცინო რესურსების ეფექტურ მართვაში დახელოვნებაზე.

დასახული მიზნებისა და დაგეგმილი შედეგების მიღწევის მიზნით პროგრამის სტრუქტურული და შინაარსობრივი ფორმულირება მოხდა შემდეგი პრინციპით:

1. სასწავლო პროგრამა დაყოფილია სამ ძირითად ფაზად, რომელიც მოიცავს საბაზისო ფაზას (რომელიც უმეტესად შეესაბამება სხვა სასწავლო გეგმების საბაზისო მეცნიერებათა ფაზას), პრეკლინიკურ ფაზას (რომელიც უმეტესად შეესაბამება სხვა სასწავლო გეგმების პათოფიზიოლოგიურ ფაზას) და კლინიკურ ფაზას.
2. საბაზისო მეცნიერებების ფაზის შინაარსი კლასიფიცირებულია სამ ნაწილად: მოლეკულებიდან უჯრედამდე, უჯრედებიდან. ორგანოებამდე და ორგანოდან სისტემამდე.
3. არის სამი კურსი, რომელიც მოიცავს მედიცინის სხვა ასპექტებს, მათ შორის:
 - კომუნიკაციის უნარები, სოციოლოგია და ფსიქოლოგია (კომუნიკაციისა და კოლაბორაციის ბლოკი, A-B და C);
 - პროფესიონალიზმი (სტუდენტებიდან ექიმამდე, A-B-C); და
 - სამეცნიერო და კვლევითი უნარები (სტუდენტებიდან მეცნიერებამდე, A-B-C)

მაგალითად, სტუდენტებიდან მეცნიერებამდე, A-B-C მოიცავს მეცნიერულ კომპონენტს, რათა პროგრამა შეესაბამებოდეს კვალიფიკაციის ჩარჩოსა და მედიცინის სფეროს სტანდარტს. იგი მოიცავს ვერტიკალური ინტეგრაციის პრინციპზე დაფუძნებულ შემდეგ კურსებს - ფაზა

A - კვლევის ეთიკა, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა, ბიოსტატისტიკა, სამეცნიერო კვლევის საფუძვლები, კვლევის დიზაინი; B ფაზა - საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია, ხელოვნური ინტელექტი, მონაცემთა ანალიზი, კვლევის მეთოდოლოგიები; C ფაზა - ტრანსლაციური მედიცინა, კლინიკური კვლევები და კარგი კლინიკური პრაქტიკა (GCP), აკადემიური ინგლისური, სამეცნიერო პროექტი.

პროგრამის კლინიკური უნარების კომპონენტი შემუშავდა ერთიანი პრინციპით და გავრცელდა სასწავლო გეგმის სხვადასხვა საფეხურზე - მარტივიდან რთულამდე გრადაციის პრინციპით.

პრაქტიკული მეცადინეობები ტარდება უნივერსიტეტის კლინიკური უნარების, სიმულაციური სწავლებისა და შეფასების ცენტრში, რომელიც აღჭურვილია მსოფლიოს წამყვანი მწარმოებლების მრავალფუნქციური სიმულატორებითა და მოდელებით; აღნიშნულ ცენტრში ტარდება როგორც სწავლება, ასევე შეფასება (OSCE, OSPE); სტუდენტის იმპლემენტაცია კლინიკურ გარემოში იწყება პირველი სემესტრიდან, გრძელდება სწავლის მთელი ციკლის განმავლობაში და მაქსიმუმს აღწევს მეთორმეტე სემესტრში, რომელიც სრულად ეთმობა პრაქტიკას (30 კრედიტი).

პირველიდან მეთორმეტე სემესტრამდე მცირდება საბაზისო მედიცინის დისციპლინები, იზრდება კლინიკური კურსების წილი; ხოლო პარაკლინიკური სასწავლო დისციპლინები თითქმის თანაბრად ნაწილდება ტრენინგის მთელ პერიოდში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების დებულებები
- o ავიცენა- ბათუმის უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში
- o ავიცენას მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომირებული მედიკოსი“
- o შრომის ბაზრის კვლევა
- o დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის თვითშეფასების/აკრედიტაციის სამუშაო ჯგუფის სხდომების ოქმი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- I ფაზის მოდულების ინტეგრაციის დონის კორექტირება ტრანსდისციპლინურიდან ინტეგრაციის უფრო რეალურ დონემდე (მულტიდისციპლინარულამდე).

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ავიცენას უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამის სასწავლო კურსის შინაარსი და შედეგები, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ჩარჩოს ფარგლებში გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსზე გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები) შეესაბამება ამ კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს და სპეციფიკას. მოცემულია კურსის სპეციფიკა. საკონტაქტო საათების რაოდენობა, სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება ამ კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. პროგრამა მოიცავს სასწავლო კურსზე მიღების წინაპირობებს, რომლებიც ასახულია სილაბუსებში. სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე და დეტალურად არის აღწერილი სილაბუსებში.

სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა, განახლებული ლიტერატურიდან მოყოლებული; უნივერსიტეტმა შეიმუშავა სასწავლო პროცესის განმახორციელებელ პირთა აქტივობა, რომელიც უზრუნველყოფს ლიტერატურის სტუდენტებისთვის მიწოდებას. გასაუბრების დროს, პროგრამის სილაბუსის განმახორციელებელმა ერთ-ერთმა ლექტორმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა მიიღო დაფინანსება, რომელიც მნიშვნელოვნად ეხმარება უნივერსიტეტს ამ მიმართულებით. გასაუბრების დროს, პანელის წარმომადგენლებმა ასევე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ნებისმიერი მომუშავე ექიმისთვის აუცილებელია სამედიცინო ლიტერატურის კითხვა ნებისმიერ საერთაშორისო ენაზე, ამიტომ სწავლების პროცესში აქცენტი ინგლისური ენის დონის ამაღლებაზეა გადატანილი.

რეგიონის საჭიროებების, მრავალფეროვანი კლინიკური ბაზებისა და რეგიონალური სპეციფიკური აკადემიური ადამიანური რესურსების გათვალისწინებით, სასწავლო პროგრამაში ინტეგრირებული იყო ისეთი მიმართულებები, როგორცაა ტრანსპლანტოლოგია, საზღვაო მედიცინა, ტურიზმი და ა.შ.;

სილაბუსებში აღნიშნული სასწავლო მასალები გამოქვეყნდა არა უადრეს 2022 წლის, თითოეული მათგანი აღიარებულია სპეციალობის შესასწავლ მთავარ სახელმძღვანელოდ და ხელმისაწვდომია ავიცენას როგორც მატერიალურ, ასევე ელექტრონულ ბიბლიოთეკაში.

საავადმყოფოებთან გაფორმებული კონტრაქტები შეიცავს დეტალებს განსათავსებელი სტუდენტების რაოდენობასთან ან კლინიკურ კურსებზე მათი საქმიანობის სპეციფიკასთან დაკავშირებით. ბიოეთიკისა და კომუნიკაციის უნარების კურსების დროს სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ წვდომა პაციენტებთან და ამ პროცესზე წვდომის არსებობა აშკარა იყო კლინიკის პერსონალთან გასაუბრებისას. უნივერსიტეტს აქვს ინტეგრირებული საბიბლიოთეკო სისტემა, ონლაინ ბიბლიოთეკას აქვს წვდომა ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე: Scopus, eDuke

Journals Scholarly Collections და სხვა. ელექტრონული ბიბლიოთეკა ადვილად ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, მათ შორის ელექტრონული/დისტანციური სასწავლო პირობებით, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროგრამული სწავლის შედეგების მიღწევას. დისტანციური წვდომის, ისევე როგორც ელექტრონული სწავლების რესურსების შესაძლებლობას იძლევა Avicenna e-learning სისტემა (LMS), რომელიც განხორციელდა პარტნიორ კომპანია შპს „ini.ge group“-თან აუტოსორსინგის თანამშრომლობით.

ზოგიერთი სილაბუსი, მაგალითად „სტუდენტიდან ექიმამდე - პროფესიონალიზმი A“ საჭიროებს სილაბუსების შინაარსის გადახედვას და დაზუსტებას, საჭიროა ქირურგიულ საქმიანობაზე მეტი ყურადღების გამახვილება მეოთხე სემესტრის სტუდენტებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o პროგრამის სწავლის შედეგების რუქა - საგანმანათლებლო პროგრამაში
- o - საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა;
- o კურიკულუმის რუქა
- o სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- o o ბიბლიოთეკის რესურსები (ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზები)
- o თვითშეფასების ანგარიში
- o ინტერვიუები პერსონალთან და სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ზოგიერთი სილაბუსების გადახედვა, რათა დაზუსტდეს შინაარსი და სწავლის შედეგები, პროგრამის სტრუქტურაში მათი ადგილმდებარეობის (სემესტრის) მიხედვით („სტუდენტიდან ექიმამდე – პროფესიონალიზმი ა“).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვებგვერდისა და ინტერვიუების საფუძველიანი განხილვის საფუძველზე, დეტალურად არის ახსნილი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. „საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ დოკუმენტის მიხედვით, ინგლისური ენის B1 დონე სავალდებულოა უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე ჩარიცხვის შემთხვევაში, რაც შემოწმდება მისაღები გასაუბრებისას. ინგლისური ენის ტესტის ნიმუში ვებგვერდზე საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დებულება - ავიცენა- ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი შპს
- შპს ავიცენას - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის დებულება
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

○

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სტუდენტების მიღებისას, შეამოწმეთ მედიცინასთან დაკავშირებული საგნების (ბიოლოგია და/ან ქიმია) საბაზისო ცოდნა;

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ავიცენა–ბათუმის უნივერსიტეტის მედიცინის პროგრამაში არის გარკვეული კომპონენტები, რომლებიც, ძირითადად მიმართულია სტუდენტების პრაქტიკული, კლინიკური, ტრანსფერული და კვლევითი უნარების განვითარებაზე.

სიმულაციური სწავლების, კლინიკური უნარებისა და შეფასების ცენტრის სტრუქტურა გამოიყენება როგორც სასწავლო გეგმის პრაქტიკული კომპონენტის ჩარჩო - ძირითადი მანიპულაციის სადგურიდან სიმულაციის სადგურამდე. სწორედ ამ პრინციპით მოხდა სასწავლო გეგმაში კლინიკური უნარების კომპონენტების ინტეგრირება, რომლებიც ცენტრის ხელმძღვანელის კოორდინაციით კურიკულუმის პრაქტიკულად ყველა მოდულში შინაარსობრივი თანმიმდევრულობით არის ჩაშენებული, ამა თუ იმ მასშტაბით. მათი დიდი კონცენტრაცია არის ბლოკში "პროფესიონალიზმი - სტუდენტიდან ექიმამდე" და ბოლო ორი სემესტრის ხუთი კურსი (შინაგანი მედიცინა, ქირურგია, მეანობა-გინეკოლოგია, პედიატრია, კრიტიკული მედიცინა-გადაუდებელი) სრულად ეთმობა პრაქტიკას. მედიცინის პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, უნივერსიტეტი იყენებს EPA-ს სწავლებისა და შეფასებისას, მაგრამ აშკარაა, რომ საქართველოს რეგულაციების საფუძველზე შეუძლებელია EPA-ს დანერგვა სამედიცინო პროგრამებში. ფაკულტეტის წევრებთან გასაუბრებისას, ასევე აშკარა იყო, რომ ფაკულტეტის წევრებმა არ იციან EPA-ს რეალური მნიშვნელობა და გავლენა მათ პროგრამასა და ყოველდღიურ საქმიანობაში.

სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას უზრუნველყოფს როგორც მთელი სასწავლო გეგმა, ასევე კონკრეტული მოდულები - კომუნიკაცია-კოლაბორაცია, სტუდენტიდან მეცნიერამდე, სტუდენტიდან ექიმამდე, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, რომელიც მოიცავს ასეთ საგნებს: პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე, სოციოლოგია, მენტორინგი და ემპათია, თვითმართვადი სწავლა, თვითზრუნვა, ქალთა უფლებები, ეკოლოგია, გლობალური ჯანმრთელობა და სხვა.

ასევე, სასწავლო გეგმას ახლავს არჩევითი კურსების მრავალფეროვანი ჩამონათვალი, სადაც სტუდენტები დაეუფლებიან ფილოსოფიის, ლიდერობის, მენეჯმენტისა და მარკეტინგის, ხელოვნების საფუძვლებს [1]. სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი, შემოქმედებითი, საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარების მიზნით, მედიცინის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სამეცნიერო უნარების სწავლება და სტუდენტების ჩართვა სამეცნიერო კვლევებში იწყება პროგრამის საწყის ეტაპზე; ბლოკის „სტუდენტიდან მეცნიერამდე“ ფარგლებში, კვლევითი უნარების განვითარების მიზნით, სწავლის მესამე კურსიდან სტუდენტები გაივლიან ისეთ სასწავლო კურსებს, როგორცაა კვლევის ეთიკა,

მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა, ბიოსტატისტიკა, სამედიცინო კვლევის საფუძვლები, სწავლების დიზაინი; საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ეპიდემიოლოგია; მონაცემთა დამუშავება და ანალიზი; კვლევის მეთოდოლოგია; ტრანსლაციური მედიცინა; კლინიკური კვლევები და კარგი კლინიკური პრაქტიკა (GCP); სამეცნიერო პროექტი და სხვა. გარდა ამისა, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული თითოეული კურსი ისეა შემუშავებული, რომ ითვალისწინებდეს ინდივიდუალური პროფესიული და სამეცნიერო-კვლევითი უნარების გაუმჯობესებას. სტუდენტებს სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა სასწავლო წლის პირველივე წლიდან შეეძლებათ.

სტუდენტის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს/პროექტის შესრულება მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტია და მიზნად ისახავს მეცნიერულ-კვლევითი უნარების განვითარებას, მათ შორის კვლევის დაგეგმვის, ორგანიზების, მართვის, შედეგების ანალიზის, სამეცნიერო ინფორმაციის კრიტიკული შეფასების და დასკვნების პრეზენტაციის უნარებს. იმის უზრუნველსაყოფად, რომ უნივერსიტეტმა დანერგა მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესები, რომლის მიზანია აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დამკვიდრების ხელშეწყობა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და პლაგიატობის თავიდან აცილება. ამასთან, სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/პროექტის მიმართ დამატებითი მოთხოვნები აღწერილია სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის სილაბუსით. უნივერსიტეტის კვლევის განვითარების პოლიტიკის მიხედვით, უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევების ჩატარების ერთ-ერთი მთავარი პრინციპია „სტუდენტთა ჩართვა სამეცნიერო კვლევებში“. უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ კვლევებში სტუდენტების ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, განსაზღვრულია კვლევის ხელშეწყობის მექანიზმების მიღწევის ამოცანები, მათ შორის: კვლევითი პროექტის განხილვა საგანმანათლებლო პროგრამაში, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მომზადება სტუდენტის სამეცნიერო კვლევითი პროექტის განხორციელების ხელმძღვანელობაში, სტუდენტური კვლევის დაფინანსების მექანიზმის შემუშავება, სტუდენტებისთვის კლასგარეშე კვლევითი კონკურსებისა და აქტივობების ორგანიზება, სტუდენტების წახალისება უნივერსიტეტის გარეთ კვლევით საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება. უსდ-ს „უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევის ხელშეწყობის წესი“ ადგენს უნივერსიტეტისა და მისი სტრუქტურული ერთეულების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, აგრეთვე სტუდენტების მიერ ჩატარებული სამეცნიერო კვლევების დაფინანსების საკანონმდებლო ბაზას, უნივერსიტეტის კვლევითი ბიუჯეტის შესაბამისად კვლევითი საქმიანობის დაფინანსების ან თანადაფინანსების მოპოვების პირობებს და პროცედურებს. ამ წესის მიზანია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევების განვითარებას, აკადემიურ პერსონალს შორის პროფესიული კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის განვითარებას, მათთან ერთად კვლევაში ჩართული პერსონალისა და უნივერსიტეტის სტუდენტების კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებას და სამეცნიერო კვლევის სფეროში მიზნების რეალიზებას, რომელიც განისაზღვრება უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების განვითარების პოლიტიკით, უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების დაფინანსებისა და მხარდაჭერის ობიექტური, სამართლიანი და გამჭვირვალე მექანიზმების დანერგვით. [4] უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტში შეიქმნა სამეცნიერო საქმიანობის ხელშემწყობი სტრუქტურული ერთეული - ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. ცენტრი პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების დაგეგმვაზე, წარმართვასა და ადმინისტრირებაზე. ცენტრი უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას, უნივერსიტეტის პერსონალის/სტუდენტების კვლევაში ჩართვას და კოორდინაციას უწევს კვლევის პროცესს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o ავიცენას მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომირებული მედიკოსი“
- o ავიცენა-ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების პროცედურა.
- o ავიცენას - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების განვითარების პოლიტიკა
- o ავიცენას საუნივერსიტეტო სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის წესები
- o ავიცენა-ბათუმი სამედიცინო უნივერსიტეტი, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დებულება -
- o შეთანხმებები და მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან, პრაქტიკის და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან

რეკომენდაციები:

- o რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არასავალდებულო რჩევები პროგრამის

განვითარებისთვის

- o შეფასება~
- o გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი
თვითშეფასების ანგარიში და პროგრამის დოკუმენტაცია აჩვენებს, რომ სასწავლო გეგმა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მეთოდებით. მიუხედავად იმისა, რომ ავიცენას უნივერსიტეტი აღწერს კურსის მიზნებთან შესაბამის სწავლების მეთოდებს, რომლებიც ორიენტირებულია სწავლის შედეგებზე, მათ შორის ლექციები, სემინარები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევებზე დაფუძნებული სწავლება, დისკუსია, ლაბორატორიული მუშაობა, ჯგუფური მუშაობა და ა.შ. სილაბუსების განხილვისას ცხადი გახდა, რომ პრეკლინიკური კურსების უმეტესობაში რეგულარულად გამოიყენებოდა მხოლოდ ლექცია და სემინარი. ბევრ სილაბუსში არის უამრავი მეთოდი, რომლებიც ნახსენებია, როგორც სწავლებისა და სწავლის მეთოდები, მაგრამ როდესაც სასესიო საათების დეტალებს განვიხილავთ, ვერ ვპოულობთ ვერც ერთი სასესიო საათს, რომელშიც ეს მეთოდები გამოიყენებული.

მედიცინის პროგრამაში არის სხვადასხვა მეთოდების სახელები. მათი განმარტებების გადახედვით აშკარაა, რომ ისინი შორს არიან ამ მეთოდების ორიგინალური განმარტებისგან. მაგალითად, EPA განისაზღვრა როგორც:

EPAს - მინდობილი პროფესიული აქტივობები - გულისხმობს სტუდენტის მრავალფეროვანი აქტივობების წარმართვას სამედიცინო დაწესებულებაში. აღნიშნული მეთოდი საშუალებას აძლევს სტუდენტს, განამტკიცოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები და გაიღრმავოს თეორიული ცოდნა სხვადასხვა კლინიკურ სიტუაციაში, იქნება ეს საოპერაციო ბლოკი, თუ გადაუდებელი დახმარების პუნქტი და სხვა, სტუდენტი სწავლობს დაკვირვებისა და პრაქტიკული მუშაობის გზით.

EPA-ს განმარტება დარგობრივ მახასიათებელში:

EPAს (მინდობილი პროფესიული საქმიანობა) – მინდობილი პროფესიული აქტივობა, რომელიც გულისხმობს საქმიანობას (როგორც წესი, რამდენიმე კომპეტენციის ერთობლიობას), რომლის შესრულებაც შეიძლება მიენდოს სტუდენტს ზედამხედველობის გარეშე მას შემდეგ, როცა იგი სრულყოფილად შეიძენს ამ საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო კომპეტენციებს.

იგივე სიტუაციაა ისეთი ტრანსფერული უნარების შემთხვევაში, როგორცაა კომუნიკაციის უნარები. ამ კურსების ბუნება მოითხოვს შესაბამისი T&L მეთოდების გამოყენებას, როგორცაა ვიდეოზე ჩაწერილი ხელმძღვანელობის ქვეშ მიმდინარე ასახვა და პირდაპირი დაკვირვება და გამოხმაურების მიღება და ზოგიერთი ეს მეთოდი ნახსენებია შესაბამის სილაბუსებში, მაგრამ ამ კურსებში არ არის არცერთი სესია, რომელშიც გამოიყენება ეს მეთოდები.

არ არსებობს სემინარების მკაფიო განმარტება, რომელიც ასე მიზანმიმართულად იქნა გამოყენებული პროგრამაში.

კლინიკურ ფაზაში პრაქტიკის კურსებში ნახსენები მეთოდები არის პრაქტიკის გავლა, რომელიც ძალიან ბუნდოვანია. თითოეულ საგანს მხოლოდ რამდენიმე საათი აქვს გამოყოფილი, იმ რეალური მეთოდების დაზუსტების გარეშე, რომლებიც გამოყენებული იქნება მოსწავლეებში საჭირო უნარების განვითარებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან
- სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- არსებითად გადაიხედოს სილაბუსების უმრავლესობა, რათა სწავლებისა და სწავლის მეთოდები მოერგოს მითითებულ სწავლის შედეგებს.
- გამოსწორდეს შეცდომები ან ბუნდოვანება სწავლებისა და სწავლის მეთოდების განმარტებებში.

რჩევები

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტის შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. ის გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტის შეფასების სისტემა არის ცხადი, გამჭვირვალე, საქართველოს კანონმდებლობასა და კარგად განსაზღვრული შეფასების სისტემის ძირითად პრინციპებზე დამყარებული. შეფასების სისტემა იყენებს სტუდენტის შეფასების რამდენიმე მეთოდს მედიცინის საბაზისო, პრაქტიკულ და კლინიკურ ასპექტებში, რათა უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევა.

კომისიის შექმნა, რომელიც გადაწყვეტს დარგობრივი მახასიათებლებით მოთხოვნილი კომპეტენციების და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სწავლის შედეგების საბოლოო მიღწევას, სტუდენტის შეფასების თანამედროვე კონცეფციაა. მიუხედავად სირთულეებისა, რომლებიც არსებითად არსებობს ასეთ სისტემაში, გვიანია სტუდენტის მუშაობის შეფასება მხოლოდ მისი სწავლების ბოლო ეტაპზე. ასეთ სისტემებში აუცილებელია პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება, რათა უზრუნველყოს სისტემური, რეგულარული და მკაფიო უკუკავშირი სტუდენტის

მუშაობის შესახებ მისი სწავლების პერიოდში.

ინტერვიუს დროს და ინტეგრირებული კურსების სილაბუსების განხილვისას გამოვლინდა, რომ თითოეული კურსის საბოლოო გადასახვის მინიმალური დონის გარდა, ამ კურსის თითოეული კომპონენტისათვის არის ცალკე მინიმალური გადასახვის დონეები. მიუხედავად ასეთი რთული სისტემის დანერგვის პირობითად შეუძლებლობისა, არ არსებობდა რაიმე მკაფიო გეგმა, თუ როგორ უნდა მოხდეს ამხელა ამოცანასთან გამკლავება.

ინტერვიუს დროს აშკარა გახდა, რომ სულ მცირე ზოგიერთი ფაკულტეტის წევრისათვის Mini-CEX-ის რეალური მნიშვნელობა და მისი განსხვავება როტაციის ბოლოს შეფასებებთან, არ იყო ნათელი. იგივე მოხდა "მინდობილ პროფესიულ აქტივობასთან" (EPAs) დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან
- შპს ავიცენა-ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის წესდება;
- შპს ავიცენა-ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულირების წესი;
- ადგილზე ვიზიტი
- პროგრამის სასწავლო კურსებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- ავიცენა-ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა „დიპლომირებული მედიკოსი“
- შპს ავიცენა-ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის დებულება აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ.
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- სტუდენტის შეფასების სისტემის განმავითარებელი ასპექტების შემუშავება, განსაკუთრებით სტუდენტის პროგრესის შესახებ უკუკავშირის მიწოდება მანამდე, სანამ საბოლოო გადაწყვეტილება მის მიერ სასწავლო კურსის დამთავრების თაობაზე არ იქნება მიღებული.
- პროგრამის გეგმის ცვლილება, რათა განისაზღვროს ინტეგრირებულ კურსებზე სხვადასხვა საგნებისთვის ჩაბარების მინიმალური ზღვარი ან განიმარტოს პროგრამაში მისი პრაქტიკული განხორციელება.
- მიუხედავად იმისა, რომ პროგრამასა და სილაბუსებში არის ნახსენები სტუდენტების შეფასების რამდენიმე თანამედროვე მეთოდი, ეს არ განაპირობებს უნივერსიტეტის პროფესორის მიერ მათ მკაფიო გაგებას. ამაზე დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს რეაგირება, პროფესორის შესაძლებლობათა გაძლიერებაზე ორიენტირებული მეტი ინიციატივით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4. სტუდენტის შეფასება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს ჯერ არ ჩაურიცხავს სტუდენტები, მათ შემუშავებული აქვთ ყოვლისმომცველი გეგმა მათი მხარდაჭერისათვის. უნივერსიტეტი სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას პროცედურული საფეხურების შესახებ და უწყევს კონსულტაციებს მათი უფლებების, სასწავლო პროცესისა და კარიერული განვითარების თაობაზე. მათ ასევე ჩამოაყალიბეს დამოუკიდებელი სტუდენტური თვითმმართველობის ორგანო და უზრუნველყოფენ სტუდენტების წარმომადგენლობას უნივერსიტეტის მმართველ სტრუქტურებში. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ითვალისწინებს სტუდენტების სოციალურ და ფსიქიკური კეთილდღეობის საჭიროებებს. მათ აქვთ ბევრი მემორანდუმი ადგილობრივ სპორტულ, ხელოვნებისა და კულტურულ ცენტრებთან და გეგმავენ მრავალ ღონისძიებას ამ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. უნივერსიტეტს ასევე აქვს ფსიქოლოგიური მხარდაჭერისა და ინტერპერსონალური კომუნიკაციის გაუმჯობესების სტრუქტურული ერთეული, რომელიც უფასო ფსიქოლოგიურ დახმარებას სთავაზობს გასაჭირში მყოფ სტუდენტებს. გარდა ამისა, გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები საერთაშორისო უნივერსიტეტებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შპს ავიცენა-ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის წესდება
- შპს ავიცენა-ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის დებულება
- შპს ავიცენა-ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის სოციალური მხარდაჭერის პოლიტიკა;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
--	------------------------------	-------------------------------------

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის დიპლომირებული მედიკოსის განხორციელებაში ჩართულია 154 ადამიანი (მათ შორის 10 პროფესორი, 14 ასოცირებული პროფესორი, 6 ასისტენტ-პროფესორი, 23 ასისტენტი და 101 მოწვეული მასწავლებელი). აკადემიური პერსონალისთვის პედაგოგიური დატვირთვა განისაზღვრა შემდეგი ოდენობით: პროფესორისთვის - 300 საათი, ასოცირებული პროფესორისთვის - 320 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის - 350 საათი, ასისტენტისათვის - 400 საათი.

უსდ-ს პერსონალის შერჩევა, დაკომპლექტება, სამუშაო დატვირთვის ორგანიზება, შეფასება, წახალისების პროცედურები და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა განისაზღვრება უსდ-ს წესდებით, უსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკითა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეკრუტირების წესით. პერსონალის შერჩევის წესი განსაზღვრავს სამსახურში მიღების პროცედურებს, ხოლო სამუშაო აღწერილობები განსაზღვრავს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. გარდა ამისა, ვიზიტების დროს გამოიკვეთა, რომ ყველა პირი, რომელიც აქტიურია ამ პროგრამის განხორციელებაში, განსაკუთრებით კლინიკური მასწავლებლები, რომლებიც დაესწრნენ ვიზიტს, კარგად ფლობს ინგლისურ ენას.

პერსონალთან შეხვედრისას, სხვადასხვა საბაზისო ტრენინგებზე დაყრდნობით, ცხადი გახდა, რომ განათლებისა და სწავლებისადმი თანამედროვე მიდგომებში ყველა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალი გაცნობიერებული ჰქონდა სწავლების მეთოდოლოგიისა და შეფასების პრინციპები. ეს განსაკუთრებით ეხებოდა იმ პერსონალს, რომლებიც სწავლებას განახორციელებენ კლინიკურ გარემოში. თუმცა გვითხრეს, რომ ჩატარდება დამატებითი ტრენინგები და ჩაუტარდება მთელ

პერსონალს.

განმახორციელებელი პერსონალის დატვირთვა ასევე მოიცავს სტუდენტების კონსულტირებას. უნივერსიტეტში განვითარებულია სტუდენტების აკადემიური კონსულტაციის კულტურა. კონსულტაციის მექანიზმი არ შემოიფარგლება მხოლოდ ლექტორის მიერ წინასაგამოცდო რჩევებით და გამოხმაურებით. სტუდენტების კონსულტაციას ატარებენ ლექტორები სისტემატურად და ინკლუზიურად, კომპეტენციის ფარგლებში, რათა მიაწოდონ სტუდენტებს ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების, დასაქმების, კვლევითი პროექტების, საგრანტო კონკურსების, სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, პროექტები და ღონისძიებების შესახებ. პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის განმახორციელებელ რესურსებზე დაწესებულ მოთხოვნებს. პროგრამის განმახორციელებელს აქვს სრული ინფორმაცია აკადემიური პერსონალის შესახებ, რომლის მიღება შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი სასწავლო კურსების სილაბუსებიდან და პერსონალის CV-დან.

ადმინისტრაციული პერსონალი კარგად მუშაობს ერთად, როგორც ეფექტური გუნდი, რასაც მოწმობს კითხვებზე მათი პასუხები, რომლებიც ძირითადად ემთხვეოდა ერთმანეთს და აჩვენა, რომ ესმით ის საკითხებიც კი, რომლებშიც ისინი სულაც არ იყვნენ უშუალოდ ჩართულნი, მაგრამ ახორციელებდნენ სხვები.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ⁵	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁶	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	53	52	29	31
- პროფესორი	10	10	10	3
- ასოცირებული პროფესორი	14	13	13	6
- ასისტენტ-პროფესორი	6	6	6	5
- ასისტენტი	23			17
მოწვეული პერსონალი	101	64	21	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o თვითშეფასების ანგარიში
- o პირადი საქმეები და CV-ები
- o შეხვედრა პერსონალთან, ლექტორებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან
- o საკადრო განრიგი

რეკომენდაციები:

⁵ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁶ ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- o რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- რამდენადაც სტუდენტების რაოდენობა კვლავ იზრდება, უნივერსიტეტმა რეგულარულად უნდა გადაამოწმოს, ჰყავს თუ არა საკმარისი პერსონალი (სასწავლო და ადმინისტრაციული), რათა შენარჩუნდეს სტუდენტებისთვის მისაცემი განათლების ხარისხი.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია მაგისტრანტებსა და მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- უსდ ახორციელებს პროგრამის პერსონალის შეფასებას და რეგულარულად აანალიზებს შეფასების შედეგებს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. გარდა ამისა, ხელს უწყობს მათ სამეცნიერო და კვლევით საქმიანობას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი იყენებს პერსონალის შეფასების ერთ-ერთ მექანიზმს ე.წ. 360-გრადუსიან შეფასების სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის მუშაობის ობიექტურ, მრავალმხრივ და მიუკერძოებელ შეფასებას ინსტრუმენტებით, დავალებების შესრულების უნართან ერთად მისი საგანმანათლებლო საზოგადოებაში ეფექტური ინტეგრაციის დემონსტრირებისა და ტრანსფერული უნარების შეფასებით.

პერსონალის შეფასება ემსახურება პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. შეფასების შედეგად ვლინდება პერსონალის პროფესიული უნარების შესაბამისობა თანამდებობასთან, განისაზღვრება კოლეგებით, სტუდენტებითა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის განხორციელებით. ვლინდება კონკრეტული პერსონალის საქმიანობაში ძლიერი, სუსტი და განვითარებადი მხარეები. შეფასების შედეგად შეფასებულ პირს ეძლევა დასაბუთებული გამოხმაურება პროფესიული განვითარებისათვის. აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური საქმიანობის შეფასება წარმოებს ყოველ სასწავლო წლის ბოლოს.

ტრენინგის ყველა თემა/შინაარსი დაგეგმილია სტანდარტის შესაბამისად. სულ გადამზადდა 35 თანამშრომელი. სხვა პერსონალს მიეწოდა სასწავლო მასალა (პრეზენტაცია), რომელიც წარდგენილი და გაზიარებულია სამუშაო შეხვედრებსა და მედიცინის სკოლის საბჭოს სხდომებზე.

პერსონალთან ინტერვიუების შედეგად გაირკვა, რომ უნივერსიტეტი იყენებს კითხვარებზე დაფუძნებულ მიდგომას პერსონალის მუშაობის შესახებ მონაცემების შესაგროვებლად. სტუდენტები აფასებენ პერსონალს ყოველი კურსის ბოლოს „წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების“ გამოყენებით. ასევე ხდება პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასება შეთანხმებული პროცესის გამოყენებით. პერსონალი ავსებს თვითშეფასების ანგარიშს და ეს მათ საშუალებას აძლევს, ხაზი გაუსვან თავიანთ დაინტერესებას სხვადასხვა სასწავლო კურსებით. პერსონალის მუშაობის ყველა ეს ინდიკატორი გროვდება და კონტროლდება ხარისხის მართვისა და შესაბამისობის დეპარტამენტის მიერ და გამოიყენება პროფესიული განვითარებისათვის.

უნივერსიტეტის დაფინანსებით პერიოდულად ტარდება ტრენინგები აკადემიური პერსონალისათვის გამოცდილების გაზიარებისა და პროფესიული განვითარების მიზნით 2022-2023 წლებში ჩატარდა არაერთი ღონისძიება აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის. უნივერსიტეტის დაარსებიდან (21.07.2022წ.) ავტორიზაციის განაცხადის წარდგენამდე ექვსი თვის განმავლობაში (09.02.2023წ.) ჩატარდა 9 ტრენინგი, ჩატარდა სამედიცინო სიმულაციური ინსტრუქტორის მომზადების კურსი კვალიფიციური ტრენერების ჩართულობით, მათ შორის 1 საზღვარგარეთ.

ინტერვიუების პროცესში პროგრამის განმახორციელებლებმა დაადასტურეს სამეცნიერო მიმართულებით უნივერსიტეტის მხარდაჭერის არსებობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუები პერსონალთან, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან
- თვითშეფასების ანგარიში
- კვლევითი საქმიანობის შეფასების წესი
- კვლევითი პროექტების განხილვის, დამტკიცებისა და მონაწილეობის წესები
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;

რეკომენდაციები:

- o რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის

განსავითარებლად

შეფასება

- o გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.4. მატერიალური რესურსები

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ყველა ობიექტი, მათ შორის სასწავლო და ლაბორატორიული სივრცეები, კლინიკური უნარების შეფასების სიმულაციური ცენტრი, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სამუშაო ადგილი, სტუდენტური თვითმმართველობის ოფისი, ბიბლიოთეკა, რეკრეაციული სივრცეები, გარდერობი და სანიტარული კვანძები.

შპს ავიცენა-ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტს გააჩნია საგანმანათლებლო დანიშნულების ფართი 20.901 კვადრატულ მეტრის ოდენობით. მთავარ ადმინისტრაციულ-საგანმანათლებლო შენობას (ტბეთის ქ. N4) უკავია 2.176,9 კვ.მ, დარჩენილი 18.777 კვ.მ საზიარო ფართია. უნივერსიტეტის საგანმანათლებლო-ადმინისტრაციული შენობა მდებარეობს ბათუმში, ტბეთის ქ. N4, ასევე უკავია N3-ის IV და V სართულებზე 2.776,9 კვ.მ ფართი საკლასო სწავლებისათვის . შენობას აქვს შესაბამისი საგანმანათლებლო, ადმინისტრაციული და დამხმარე სივრცეები, მათ შორის კლინიკური უნარების, სიმულაციისა და შეფასების ცენტრი IV სართულზე. ცენტრს აქვს OSCE 12 სადგური და აღჭურვილია უახლესი ტრენაჟორებითა და მანიკენებით, რომლებიც წარმოებულია საერთაშორისო ბაზარზე წამყვანი მწარმოებლების მიერ (GT Simulator, 3B Science). დამატებით, მესამე სართულზე

სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში განთავსებულია სამი ლაბორატორია შესაბამისი აღჭურვილობით. ლაბორატორიული სივრცეები აკმაყოფილებს კურიკულუმის სტანდარტებს და გამოდგება დემონსტრირების მეთოდებით სწავლებისა და პროცესში სტუდენტების უშუალო ჩართვისათვის. უნივერსიტეტს აქვს ორი აუდიტორია, თითოეული გათვლილი 90 სტუდენტზე, რომელიც მოემსახურება როგორც გაფართოებულ საკლასო სწავლებას, ასევე სტუდენტების ელექტრონულ ტესტირებას გამოცდების პერიოდში. ყველა აუდიტორია აღჭურვილია კომპიუტერებითა და სადემონსტრაციო აღჭურვილობით. OSCE-ს საგამოცდო ცენტრში კი არის ვიდეოთვალთვალისა და ელექტრონული გამოცდების მართვის სისტემები. უნივერსიტეტს ასევე აქვს კომპიუტერული კლასი (20 კომპიუტერით) და კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით აღჭურვილი სასწავლო სივრცეები. სასწავლო პროცესის მხარდასაჭერად ასევე ხელმისაწვდომია საინფორმაციო ცენტრი.

უნივერსიტეტის დამფუძნებელ კლინიკებთან წვდომა ქმნის ხელსაყრელ სასწავლო გარემოს, სადაც სტუდენტებს მიეცემათ საშუალება აქტიურად ჩაერთონ კლინიკურ სწავლებაში, ადვილად მოერგონ სამედიცინო სფეროს, გაიღრმავონ მიღებული თეორიული ცოდნა და გააძლიერონ იგი კლინიკურ გარემოში პრაქტიკით. შპს "High-tech Hospital Medcenter" არის უნივერსიტეტის ძირითადი კლინიკური ტრენინგის ცენტრი, სერვისების ფართო სპექტრის, პაციენტების მაღალი ბრუნვისა და აქტივობის მასშტაბის გამო. ჰოსპიტალი მოიცავს ოთხ 30-ადგილიან აუდიტორიას, 63 მცირე ჯგუფის სამუშაო ადგილს, ორ სასწავლო ლაბორატორიას, გარდერობსა და რეკრეაციულ ზონას, საერთო ფართობით 1.928,3 კვ.მ. არ არის მოცული კლინიკური საგნების მხოლოდ მცირე ნაწილი, როგორცაა OB-GYN და ფსიქიატრია, თუმცა არსებობს კლინიკებთან შეთანხმებები. შპს "ავიგენა-ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის" სხვა კლინიკურ ბაზებს მიეკუთვნება შპს ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო, შპს სალიკ აბაშიძის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრი, შპს ბათუმის სამედიცინო ცენტრი; ევექსი ჰოსპიტალსი-ბათუმის რეფერალური ჰოსპიტალი, სს ევექს ჰოსპიტალ-მ. იაშვილის სახელობის ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო, შპს ბათუმის მრავალპროფილური სამშობიარო სახლი და ა.შ. შპს ავიგენა-ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ერთციკლიანი საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტთან დაკავშირებული 4 კლინიკიდან სულ გამოყოფილია 18.914 კვადრატული მეტრი, მათ შორის 3.782 კვმ. - სემინარების, სიმულაციური და ლაბორატორიული სწავლებისთვის, რეკრეაციული ზონისათვის. ამის საფუძველზე შესაძლებელია დღეში საერთო რაოდენობით 3.350 სტუდენტის მიღება, ხოლო საუნივერსიტეტო კლინიკების პაციენტთა ჯამური წლიური ბრუნვა შეადგენს 189.230 პაციენტს. საუნივერსიტეტო კლინიკებში, უშუალოდ პაციენტის საწოლთან სწავლების ფორმატის გარდა (Bed side training), არის სწავლება-სწავლის განსახორციელებლად საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სივრცეები.

ადმინისტრაციულ-საგანმანათლებლო შენობის მე-4 სართულზე განთავსებულია უნივერსიტეტის დამოუკიდებელი ბიბლიოთეკა. იგი შედგება სამი ურთიერთდაკავშირებული სივრცისაგან, რომელთა საერთო ფართობი შეადგენს 158,9 კვადრატულ მეტრს. ბიბლიოთეკა ღიაა მკითხველებისთვის ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით, დღეში 12 საათი, 9:00 საათიდან 21:00 საათამდე, კვირაში სულ 72 საათი. ბიბლიოთეკა მოიცავს წიგნების საცავს და ორ სამკითხველო სივრცეს და აღჭურვილია ადამიანური და მატერიალური რესურსებით. ბიბლიოთეკა შეფასდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მისი ნაბეჭდი სასწავლო მასალისა და ელექტრონული წიგნების მიხედვით. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი შედგება ორი სივრცისგან, სადაც განთავსებულია ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობისათვის ადაპტირებული ინვენტარი. დარბაზი გათვლილია ერთდროულად 50 მკითხველზე, ხოლო ელექტრონული წვდომა შეუზღუდავია უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისათვის, მოწვეული პროფესორებისა და სტუდენტებისათვის. სამკითხველო დარბაზში

განთავსებულია 30 მაგიდა ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისთვის, 50 სკამი და 13 კომპიუტერი. უნივერსიტეტში მოქმედებს პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამა (Turnitin). საბიბლიოთეკო სახსრები სრულად შეესაბამება სილაბუსებით გათვალისწინებულ ლიტერატურას, საცნობარო ლიტერატურას, სახელმძღვანელოებსა და ჟურნალებს. უნივერსიტეტი არის საქართველოს ბიბლიოთეკების ასოციაციის წევრი. მან გააფორმა მემორანდუმი ქალაქ ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკასთან და მიაღწია რამდენიმე საერთაშორისო ბაზის წევრობას. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია მკითხველისთვის ადგილზე როგორც არსებული კომპიუტერული აღჭურვილობით, ასევე ბიბლიოთეკის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაზე წვდომით სახლებიდან. საბიბლიოთეკო ფონდის განვითარება და განახლება იგეგმება უშუალოდ წიგნადი ფონდის გაზრდით და ელექტრონული ბიბლიოთეკის ფონდებთან სისტემატური თანამშრომლობით.

ini.ge ჯგუფი პასუხისმგებელია საინფორმაციო რესურსების, საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისებისა და სერვისის გარე პროვაიდერების მართვაზე. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური უზრუნველყოფს ინფორმაციის უსაფრთხოებასა და დაცვას და დარღვევის შემთხვევაში იღებს შესაბამის ზომებს. ის ასევე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ვებსაიტის ადმინისტრირებაზე და საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურთან თანამშრომლობით განახლებს და მონიტორინგს უწევს მას. უნივერსიტეტის სასწავლო, კვლევისა და მართვის სისტემა ეყრდნობა ინფორმაციულ ტექნოლოგიებსა და პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც მოიცავს ადმინისტრაციულ და საგანმანათლებლო-სამეცნიერო სფეროებს. ექსპერტთა ჯგუფი შეხვედრაზე გაეცნო პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც გამოიყენება საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის ელექტრონული მართვის სისტემა მოიცავს მოდულებს, როგორცაა სასწავლო პროცესის მართვის ავტომატიზაცია, ფინანსური მართვა, ელექტრონული საქმისწარმოება, ადამიანური რესურსების მართვა, ელექტრონული ბიბლიოთეკა, ელექტრონული ტესტირება, გამოკითხვები და ანგარიშგება. ვებგვერდზე შევიძლიათ მოიძიოთ ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ, მათ შორის სიახლეები, აქტივობები, კონკურსები, სამართლებრივი აქტები, მართვის პრინციპები, რეგულაციები და სხვადასხვა ბმულები www.avicenna.ge. გვერდი დინამიურია და ინფორმაცია მუდმივად განახლებადი. უნივერსიტეტი სთავაზობს Wi-Fi სისტემას, რომელიც პერსონალისა და სტუდენტებისთვის აადვილებს ინტერნეტზე უფასო წვდომას. ქსელის რესურსებზე წვდომა კონტროლდება პოლიტიკის შესაბამისად ფუნქციური ჯგუფებისთვის უსაფრთხოების განსაზღვრული დონეებით. თითოეულ ჯგუფს აქვს წვდომა მხოლოდ მათთვის განსაზღვრულ რესურსებზე.

უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე, გარდა აუდიტორიებისა და ადმინისტრაციული ოთახებისა, ფუნქციონირებს ვიდეოთვალთვალის სისტემა. აუდიო-ვიდეო თვალთვალის სისტემით ასევე აღჭურვილია სიმულაციური, კლინიკური უნარებისა და შეფასების ცენტრის 15 სადგური. სათვალთვალო ქსელზე წვდომა ყველასათვის შეზღუდულია. უნივერსიტეტში დანერგილია სისტემები ბიზნესის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე დანერგილია VoIP ტექნოლოგიაზე დაფუძნებული სატელეფონო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომლებს შორის გამართულ კომუნიკაციას. უნივერსიტეტს ემსახურება ინტერნეტ პროვაიდერი სილქნეტი. ელექტროენერჯის უწყვეტი მიწოდებისთვის უნივერსიტეტს აქვს 500 კილოვატიანი დიზელის გენერატორი, რომელიც ავტომატურად ირთვება დენის გამორთვიდან 3 წამში; ასევე, უნივერსიტეტის პერსონალი აღჭურვილია დენის სარეზერვო სისტემით (UPS). უნივერსიტეტის შენობაში დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები, რომლის მეშვეობითაც წარმოებს მონიტორინგი დაცვისა და უსაფრთხოების ოფისიდან. ზოგადად, დაცვა, უსაფრთხოება და შესაბამისი რეაგირება ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით. შენობის დაცვას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახური უწყვეტად, როტაციის პრინციპით, 24-საათიანი დაცვით. პირველადი დახმარების გასაწევად, უნივერსიტეტში გამოყოფილია სამედიცინო

კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარებისთვის ყველა საჭირო აპარატურით, აღჭურვილობითა და მედიკამენტებით. შენობას აქვს სახანძრო უსაფრთხოების სისტემა, რაც დადასტურებულია შენობის 2022 წელს ექსპლუატაციაში აყვანის შესაბამისი დოკუმენტით. უნივერსიტეტს აქვს შემუშავებული სახანძრო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარებისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები და შესაბამისი ინვენტარი; ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა დამონტაჟებულია შენობის ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას, მისი გამოყენების დეტალური ინსტრუქციით და კომპეტენტური ორგანოს მიერ დამტკიცებული ევაკუაციის გეგმებით. უნივერსიტეტის შენობის მდებარეობა უზრუნველყოფს უსაფრთხო და შესაბამის სასწავლო გარემოს სტუდენტებისა და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალისათვის. უნივერსიტეტის ყველა შენობა ადაპტირებულია ყველა კატეგორიის პერსონალისთვის. უნივერსიტეტში დაცულია სანიტარიული და ჰიგიენური ნორმები. სასწავლო ოთახებს აქვს როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. თუმცა, ყველა ოთახი არ არის აღჭურვილი კონდიციონერით. სართულებზე ასასვლელად კამპუსში დამონტაჟებულია ორი კიბე და ორი ლიფტი. ლიფტი არის საერთო სარგებლობისთვის და ადაპტირებულია სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის. ყველა სართულზე დგას სანიტარული კვანძი, რომელიც ასევე განკუთვნილია სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის.

ყოველწლიურად მისაღები სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით (180 სტუდენტი ყოველწლიურად), აუდიტორიების, ოთახების და ობიექტების რაოდენობა არაადეკვატური ჩანს დაუნდა დაზუსტდეს, თუკი უნივერსიტეტი დაჟინებით მოითხოვს ასეთი დიდი რაოდენობის სტუდენტების მიღებას ყოველწლიურად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ადგილზე ვიზიტი
- ექსპერტთა ჯგუფი
- იჯარის ხელშეკრულება
- მემორანდუმები ჰოსპიტალებთან

რეკომენდაციები:

- ზოგიერთ აუდიტორიაში მოსაგვარებელია კონდიციონერების პრობლემა.
- ყოველწლიურად მისაღები სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით (180 სტუდენტი ყოველწლიურად), აუდიტორიების, ოთახების და აღჭურვილობის რაოდენობა არაადეკვატური ჩანს და უნდა დაზუსტდეს, თუკი უნივერსიტეტი დაჟინებით მოითხოვს ასეთი დიდი რაოდენობის სტუდენტების მიღებას ყოველწლიურად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ძირითადი ფინანსური დოკუმენტი არის მისი ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს უნივერსიტეტის მართვისა და განვითარების, საუნივერსიტეტო სკოლების, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულებისა და ცენტრების ბიუჯეტებს. უნივერსიტეტის ბიუჯეტს დამტკიცებული მოცულობებით მართავს უნივერსიტეტის საფინანსო-საბუღალტრო სამსახური. დასრულებული საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგის პასუხისმგებლობა ეკისრება რექტორის მოადგილეს ადმინისტრაციულ და ფინანსურ მიმართულებებში.

უნივერსიტეტის შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილია დამფუძნებლების შენატანები. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ფინანსური მართვის პოლიტიკის მიხედვით, უნივერსიტეტს შეუძლია საჭიროების შემთხვევაში მიიღოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები, როგორც ხარჯების დაფინანსების წყარო. ეს უზრუნველყოფს ფინანსური სტაბილურობისა და პროგრამის შეუფერხებლად განხორციელების საფუძველს. საუნივერსიტეტო პროგრამები ჯერ არ განხორციელებულა, მაგრამ დამფუძნებელი კლინიკებისგან მნიშვნელოვანი დაფინანსება სტანდარტული სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად უკვე მიღებულია. ეს მოიცავს სასწავლო, სალექციო და ლაბორატორიულ სივრცეებს, ბიბლიოთეკას, კომპიუტერულ აღჭურვილობას, საოფისე ინვენტარს და აუდიტორიების აღჭურვილობას. კვალიფიკაციის ასამაღლებლად პერსონალი მონაწილეობდა სხვადასხვა სასწავლო კურსებსა და სამეცნიერო კონფერენციებში. გასაუბრებისას ფინანსურმა დეპარტამენტმა და დაინტერესებულმა მხარეებმა ხაზი გაუსვეს, რომ უნივერსიტეტის მდგრადობის უმთავრესი ფაქტორი ფინანსური ინსტიტუტების წინაშე ფინანსური ვალდებულებების არქონაა. ეს შეიძლება იყოს ძლიერი მხარე უნივერსიტეტისათვის. მათ წარმოადგინეს დეტალური გათვლები სტუდენტების მიწილური საჭირო რაოდენობისა და შესაბამისი შემოსავლების შესახებ, რომელიც აუცილებელია პროგრამის შეუფერხებლად წარმართვისათვის. ასევე, გამოხატეს მეტი ინვესტიციის განხორციელებისადმი მზადყოფნა პროგრამის მხარდასაჭერად.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელფასი პროგრამის ბიუჯეტის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რაც განპირობებულია კვალიფიციური კადრების მოზიდვით და შესაბამისად მაღალი ხელფასებით. ბიუჯეტის დაახლოებით მეოთხედი გამოიყო სხვადასხვა პროგრამასთან დაკავშირებულ აქტივობებზე, რომლებიც ეხება პროგრამის პერსონალს, პროგრამის სტუდენტებს და სწავლება-სწავლის პირობების გაუმჯობესებას. უნივერსიტეტის მხრიდან დიდი ყურადღება ეთმობა სტუდენტების განათლებისთვის აუცილებელი ლიტერატურისა და სასწავლო მასალების შეძენას. ნებისმიერი ორთოგრაფიული, გრამატიკული და პუნქტუაციის შეცდომა გამოსწორებულია. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს აქვს დამოუკიდებელი საბიბლიოთეკო ბაზა, თუმცა სტუდენტების რაოდენობის ზრდის პარალელურად თანხები გათვალისწინებულია საბიბლიოთეკო ფონდის გაზრდაზეც. გარდა ამისა, სტუდენტის პრაქტიკული უნარ-ჩვევების

განვითარებისთვის გათვალისწინებულია სახარჯო ლაბორატორიული მასალების შეძენა და სტუდენტებისთვის შეხვედრის ადგილების მოწყობა, კლინიკებში პრაქტიკული სწავლების შემდეგ მიღებული ინფორმაციის განსახილველად.

როგორც უნივერსიტეტის პირველი პროგრამული აკრედიტაციის ნაწილი, სკოლის ბიუჯეტი ძირითადად ფინანსდება ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის დიპლომირებული მედიკოსის სტუდენტების სწავლის საფასურით, რომელიც შეადგენს სკოლის შემოსავლების 95%-ზე მეტს. აღსანიშნავია, რომ პროგრამებიდან მიღებული შემოსავალი ასევე აფინანსებს უნივერსიტეტის მართვისა და განვითარების ხარჯებს, მათ შორის ობიექტების განახლებასა და მოვლა-პატრონობას. ფინანსების უფრო ეფექტური მართვისთვის უნივერსიტეტი გეგმავს 2024 წლიდან პროგრამულ საბიუჯეტო პრინციპზე გადასვლას. ეს მეთოდი გულისხმობს ხარჯების დაჯგუფებას პროგრამების, ქვეპროგრამების და კონკრეტული მიზნების, ამოცანების, შესრულების ეტაპების, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორების მიხედვით. მიზანია სახსრების გამოყოფა ყველაზე ეფექტური პროექტებისათვის და უკეთესი ფისკალური მენეჯმენტის უზრუნველყოფა.

მტკიცებულება/ინდიკატორები

- ჯგუფის დისკუსიები
- ადგილზე ვიზიტი
- უნივერსიტეტის 2023-2029წწ. სტრატეგიული განვითარების გეგმა
- უნივერსიტეტის 2023-2025 წწ. სამოქმედო გეგმა
- ავტორიზაციის თვითშეფასების დოკუმენტში წარმოდგენილი ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
- უნივერსიტეტის ბიუჯეტი.
- პროგრამის ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტთან

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

რომელიც ავიცენას უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული არის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ახორციელებს აკადემიური და სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების შეფასებას, ასევე პერსონალის პროფესიულ განვითარებას, მათ შორის უწყვეტი გამოკითხვის, შეფასებისა და მონიტორინგის პროცესის ჩათვლით, ეფუძნება ისეთ ღირებულებებს, როგორცაა: სანდოობა, გამჭვირვალობა, გაზიარება, ჩართულობა, ობიექტურობა, უწყვეტობა, ანგარიშვალდებულება და მიზნად ისახავს ხარისხის კულტურის განვითარებას თანამშრომლობითი პრინციპის გამოყენებით.

ავიცენა-ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ხარისხის კულტურა განსაზღვრულია, როგორც დაწესებულების ღირებულებების ერთ-ერთ ძირითადი ნაწილი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყველა აქტივობა მისდევს PDCA ციკლს.

საგანმანათლებლო პროგრამის "დიპლომირებული მედიკოსი"-ს რეგულარული შეფასება ხდება საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების, შეფასების და განვითარების წესის შესაბამისად. ხოლო პროგრამის ხარისხის შესაფასებლად დაწესებულება იყენებს დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის, პერსონალის მართვის პოლიტიკისა და მართვის ეფექტურობის მონიტორინგის წესით განსაზღვრულ მექანიზმებსა და ინსტრუმენტებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ინტერვიუს მიხედვით, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესში, აქტიურად თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან. ეს თანამშრომლობა მოიცავს პროგრამის განვითარების გამოკითხვებში მონაწილეობას. შიდა ხარისხის მართვის განსახორციელებლად შემუშავდა ბევრი კითხვარი.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზანია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსების და საჭირო მატერიალურ-ტექნიკური სერვისების შეფასება, დაინტერესებული მხარეების კმაყოფილების გამოკითხვა და შედეგების გამოყენება პროგრამის უწყვეტი განვითარებისათვის.

PDCA ციკლი გამოიყენება პროცესების კომპლექტზე, მოიცავს სრულ პერსონალს და პროცესი ორიენტირებულია მუდმივ გაუმჯობესებაზე.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ თვითშეფასების პროცესში მონაწილეობდა პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი და ყველა დაინტერესებული მხარე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o თვითშეფასების დოკუმენტი
- o ინტერვიუების შედეგები
- o შპს ავიცენა-ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

რეკომენდაციები:

- o რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.2 გარე ხარისხის შეფასებ

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა აღიარებს გარე ხარისხის შეფასების მექანიზმებს. ამ მიზნით ავიცენას უნივერსიტეტი თანამშრომლობს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან. უნივერსიტეტმა გაიარა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების სავალდებულო პროცედურა. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა. ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილება იყო დადებითი და ავიცენა-ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტს მიენიჭა ავტორიზაცია 6 წლის ვადით.

საგანმანათლებლო პროგრამა შეაფასა საუთჰემპტონის უნივერსიტეტის საერთაშორისო დამოუკიდებელმა ექსპერტმა, ემერიტუს პროფესორმა კრისტოფერ სტეფენსმა.

ავტორიზაციის დროს მიღებული რეკომენდაციები უნივერსიტეტმა გაითვალისწინა.

უსდ გამოეხმაურა რეკომენდაციას კურიკულუმში ინგლისური ენის კომპეტენციის გაძლიერების თაობაზე (საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმს, ენობრივი კომპეტენციის გაუმჯობესებისა და B2 საფეხურზე ამალღების მიზნით, დაემატა ახალი კურსები ინგლისურ ენაში). უფრო მეტიც, აღნიშნული რეკომენდაციებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფმა განსაზღვრა გაუმჯობესების გზები და შეიმუშავა პროგრამის განვითარების სამოქმედო გეგმა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა
- o გარე შეფასება
- o ინტერვიუს შედეგები
- o ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების შედეგების ანალიზი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული გადახედვა

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ტარდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით მონაცემთა სისტემატური შეგროვების, შესწავლისა და ანალიზის გზით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის განხილვითა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრის თანამშრომლებთან გასაუბრებით აშკარა გახდა, რომ უსდ-ს აქვს პროგრამის განხორციელების მონიტორინგის ყოვლისმომცველი გეგმა, შეფასების სხვადასხვა მეთოდების ჩათვლით და ზოგიერთი დაინტერესებული მხარის ჩართულობით. ეს იმდენად მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის მონიტორინგისა და ხარისხის გაუმჯობესების პროცესში, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის თანამშრომლების გარდა, ჩართულნი არიან პროგრამის ხელმძღვანელი და დეპარტამენტების ხელმძღვანელები.

იმის გამო, რომ პროგრამა არ დაწყებულია და არ არსებობს რაიმე მოქმედი პროგრამა, შეუძლებელია უსდ-ის რეალური პრაქტიკის დადგენა, თუმცა გეგმა არის მყარი და რაციონალური. მთავარი პრობლემა მდგომარეობს ასეთი ყოვლისმომცველი გეგმის განხორციელების შესაძლებლობაში. თუმცა ინტერვიუს დროს აშკარა იყო, რომ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელისა და თანამშრომლებისათვის ცნობილია პროგრამის მონიტორინგის სირთულეები და რეალობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუ აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალთან
- თვითშეფასების ანგარიში
- შპს ავიცენა-ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის

განსავითარებლად შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ავიცენა –

ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი უმაღლესი განათლების

პროგრამის დასახელება, საფეხური: დიპლომირებული მედიკოსი, 7

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1 საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობანი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ირინე ფხაკაძე	
---------------	--

თამარ გოდერძე	
ირაკლი გაგუა	
ლუკა აბაშიშვილი	